603 № 10477


# ლელო

საქართველოს სსრ ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО ОРГАН ГОСУДАРСТВЕННОГО КОМИТЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР ПО ФИЗИЧЕСКОЙ КУЛЬТУРЕ И СПОРТУ И РЕСПУБЛИКАНСКОГО СОВЕТА ПРОФСОЮЗОВ

2 ივნისი, შაბათი, 1990 წ.
№ 102 (10 271) ● ფასი 3 კაპ.

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან


## ლეილა მესხი მესამე წრეში ითამაშებს

პარიზი. გრძელდება საფრანგეთის ღია ჩემპიონატი ჩოგბურთში. „როლან გაროსის" კორტებზე ჩატარდა მეორე წრის მატჩები. მესამე წრეში თამაშის უფლება საბჭოთა სპორტსმენთა შორის პირველმა კალინინგრადელმა ალექსანდრე ვოლკოვმა მოიპოვა. მან მორიგ შეხვედრაში დაამარცხა ჯიმი არიასი (აშშ) — 1:6,6.3, 6:3, 4:6, 6:1, მესამე წრეში თამაშის უფლება მოიპოვა თბილისელმა ლეილა მესხმაც.

სხვა შეხვედრები დამთავრდა ასე: ანდრეს გომესმა (ეკვადორი) მოუგო მარჩელო ფილიპინის (ურუგვაი) 7:6. 6:2, 6:1, თომას მუსტერმა (ავსტრია — ერიკ ვინოგრადსკის (საფრანგეთი) 6:2, 6:3, 6:1, ამოს მანსდორფმა (ისრაელი) — ფრანჩესკო კანჩელოტის (იტალია) — 6:2, 2:6, 6:1, 7:5.

## ნინო ქუცნიაშვილი, ნინო მარჯანიშვილი და სხვები

ჩვენ უკვე გაცნობეთ, რომ ბრიანსკში გამართულ ძიუდოისტ გოგონათა საკავშირო ტურნირის გამარჯვებულთა შორის იყო სოფელ დილომის №1 საშუალო სკოლის მეათეკლასელი ნინო ქუცნიაშვილი (მწვრთნელები — ზურაბ ფარქოსაძე და მურად მწარიაშვილი). ეს საკმაოდ მნიშვნელოვანი შეჯიბრება გახლდათ, რადგან იქ დადგინდა საბჭოთა კავშირის ნაკრების საბოლოო სახე ამ ასაკობრივ ჯგუფში.

**ნინო ქუცნიაშვილმა გაიმარჯვა** მძიმე წონის (+72 კგ) ძიუდოისტთა შორის. მასვე გადაეცა პრიზი საუკეთესო ტექნიკისათვის.

ასპარეზობაში **მეორე ადგილი დაიკავა** თბილისის 181-ე საშუალო სკოლის მეათე კლასის მოსწავლემ **ნინო მარჯანიშვილმა**, ხოლო მისმა სამმა თანაგუნდელმა **მესამე ადგილები დაისაკუთრეს**. ესენი არიან: მცხეთის რაიონის სოფელ ჩარდახის მკვიდრი **თეა დონდუაშვილი** და თბილისელები: 168-ე საშუალო სკოლის მეათეკლასელი **მაია გოზეჯიშვილი** და ინდუსტრიული ტექნიკუმის მოსწავლე **ელენე კელიხაშვილი**.

ჩვენს გუნდს შეჯიბრებისათვის ამზადებდნენ საქართველოს ნაკრების უფროსი მწვრთნელი ომარ გულისაშვილი, მურად მწარიაშვილი, თამაზ კარიაული და გაგიკ აგაბაბოვი.

## კანადელები ყვარელში

ადრე გაუწყეთ, რომ საქართველოში სტუმრად იმყოფება კანადის მოჭიდავეთა გუნდი. ისინი ერთობლივ ვარჯიშებს ატარებენ ჩვენს ფალავნებთან, იძენენ ცოდნას, ხვეწენ ოსტატობას. პერიოდულად თავიანთი ძალების შესამოწმებლად ამხანაგურ შეხვედრებს ატარებენ ადგილობრივ მოჭიდავეებთან.

ერთი ასეთი შეხვედრა ამ დღეებში შედგა ყვარელში, რომელმაც ჭიდაობის მოყვარულთა ცხოველი ინტერესი გამოიწვია არა მარტო რაიონში, არამედ მთელს კახეთში. ამ შეხვედრის სპორტულ ნაწილზე ლაპარაკს არ ვაპირებთ. სამაგიეროდ, ვიტყვით იმას, რომ კანადელთა სტუმრობა უმაღლეს დონეზე იყო ორგანიზებული და ის დღე ჭიდაობის ნამდვილ დღესასწაულად გადაიქცა.

სხვათა შორის, უცხოელ სტუმართა განწყობილება ყველაზე ზუსტად გამოხატა კანადის თავისუფალი სტილის მოჭიდავეთა ნაკრები გუნდის მწვრთნელმა რობი მურმა. მან კერძოდ, თქვა: ის, რაც საქართველოში ვნახეთ ამ ორი კვირის მანძილზე, ფაქტიურად, დაუჯერებელია, კარგად ვიცოდით სადაც მოვდიოდით, მაგრამ მოლოდინმა ყველა შესაძლებელ ზღვარს გადააჭარბა. განსაკუთრებით მოგვეწონა ქართველი ხალხის გულღია ხასიათი და ადამიანური თვისებები. სამშობლოში დაბრუნებისთანავე ყველას გავაგებინებთ რა ქვეყანა ყოფილა საქართველო.

— კახელებს სტუმარ-მასპინძლობა ძვალსა და რბილში აქვთ გამჯდარი, მაგრამ ამჯერად მათ, როგორც ჩანს, საკუთარ თავსაც გადააჭარბეს და დაუვიწყარი შთაბეჭდილებებით გაისტუმრეს ყვარლიდან კანადელი მეგობრები.

## ფითელ შუქთან...

„ლელოს" მკითხველებმა იციან, რომ მოსწავლეთა საკავშირო სპარტაკიადა თბილისში გაიხსნა თავისუფალი ჭიდაობით. პარალელურად ეს ჭაბუკთა შორის ქვეყნის პირველობაც იყო. ჩვენი ფალავნებიდან ექვსმა ჩემპიონობასთან ერთად ჭაბუკთა მსოფლიო პირველობის საგზურიც დაიმსახურა. ამ შეჯიბრებას 18-21 ივლისს უნგრეთი უმასპინძლებს.

გუშინ მოსკოვიდან მოვიდა ცნობა, რომ საკავშირო ნაკრების მსოფლიო პირველობაზე გამგზავრებას ემუქრება საფრთხე, ამის მიზეზი კი უსახსრობაა. საქმე ისაა, რომ თავისუფალი ჭიდაობის საკავშირო ფედერაცია გამოეყო სპორტსახკომს და გადავიდა სამეურნეო ანგარიშზე. ფედერაციას კი ის ფული (ვალუტა) არ გააჩნია, რომელიც შეჯიბრებაში მონაწილეობისათვის ყველა ქვეყანამ საერთაშორისო ფედერაციაში (ფილა) უნდა შეიტანოს. საკავშირო ფედერაციამ გააფრთხილა ყველა, ვისი წარმომადგენლებიც ნაკრებში მოხვდნენ, რომ წილობრივად შეაგროვონ ფილა-ში შესატანი ვალუტა. საქართველოს წარმომადგენლებმა 2000 დოლარი უნდა შეაგროვონ.

ჩვენს თავს უფლება მივეცით რეალური მდგომარეობა გვეუწყებინა საზოგადოებისათვის. ვიმედოვნებთ, რომ გამოჩნდებიან ცალკეული პირები და ორგანიზაციები, რომლებიც დახმარების ხელს გაუწვდიან ჩვენს ჭაბუკებს, ქართული სპორტის ხვალინდელ იმედს — მსოფლიოს ჩემპიონატი ამ ჭაბუკებისათვის ხომ პირველი დიდი ასპარეზობა იქნება.



ამ დღეებში აბაშაში ახალი ცხენთსარბიელი გაიხსნა.

ელგუჯა ნადარეიშვილის ფოტო.



## რეკორდამდე რაღა დარჩა...

მძლეოსნობაში საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატის ნორმატივის შესრულება მართლაც იმის იმედს უნერგავს სპორტსმენს, რომ ძალუძს დიდ შეჯიბრებებშიც გამოიჩინოს თავი. საქართველოს სპორტსმენთაგან ამ წოდების მატარებელი მძლეოსნები ახლა თითებზე ჩამოითვლებიან.

ორი დღის წინ მათ დაემატათ უროსმტყორცნელი იოსებ შავერდაშვილი („შევარდენი"), რომელმაც ჩვენს მთავარ სტადიონზე მიმდინარე რესპუბლიკური უნივერსიადის დროს 7,260 კგ წონის მძლეოსნური იარაღი ძალზე შორს — 77,18 მეტრზე სტყორცნა.

საქართველოს რეკორდი კი უკვე მრავალი წელია ეკუთვნის ჩვენს სახელოვან მძლეოსანს ჯუმბერ ფხაკაძეს — 77,64 მეტრი.

მძლეოსნობის ამ სახეობაში ძირითადად გამოცდილი სპორტსმენები გამოდიან, მაგალითად, საბჭოთა კავშირის ნაკრების ლიდერებიდან თითქმის ყველა 30 წელს არის გადაცილებული, მაშინ, როცა შავერდაშვილს მხოლოდ შემოდგომაზე შეუსრულდება 21 წელი.

თუმცა უძლიერეს მტყორცნელებთან ჭიდილს იგი უკვე ნაჩვევია, საბჭოთა კავშირის ზამთრის ჩემპიონატში, რომელიც ადლერში ჩატარდა, იგი ფინალში მოხვდა და 10 საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატი ჩამოიტოვა უკან. იოსებ შავერდაშვილი გარდაბნის რაიონის სოფელ ლილოს მკვიდრია და ამჟამად გორის ეკონომიკურ ინსტიტუტში სწავლობს. მას ავარჯიშებს საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი ომარ ოდიშვილი.

**სურათზე:** იოსებ შავერდაშვილი.

---

## საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის, უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმისა და მინისტრთა საბჭოსაგან

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი, უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმი და მინისტრთა საბჭო ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ 1990 წლის 1 ივნისს დღის 3 საათზე თბილისში რუსთაველის მოედან-მთაწმინდის ბაგირგზაზე მოხდა ავარია, რომლის შედეგადაც დაიღუპა ხალხი, და სამძიმარს უცხადებენ მათ ოჯახებს.

| | | |
|---|---|---|
| საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი | საქართველოს უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმი | საქართველოს მინისტრთა საბჭო |

## ტრაგედიის გამო

გუშინ, თბილისში, დღის მეორე ნახევარში მთაწმინდის საჰაერო-საბაგირო გზაზე მომხდარი ტრაგედიის გამო, საქართველოს სპორტსახკომის გადაწყვეტილებით, რესპუბლიკაში გადადებულია ყველა სპორტულ-სანახაობრივი ღონისძიება.

## ფედერაციას — ათასი მანეთი

საქართველოს ფეხბურთის ფედერაციას ათასი მანეთი გადაურიცხა სახელმწიფო აგრომრეწვის მართვის რესპუბლიკური უმაღლესი სკოლის კოლექტივმა.

ეს ცნობა კოლექტივის სახელით ზურაბ შხვაცაბაიამ მოგვაწოდა.

## ფრთხილად, მაგნიტური დღეებია

შესაბამისი სამეცნიერო ორგანიზაციები იუწყებიან, რომ ამ თვეში ე. წ. მაგნიტური დღეები იქნება 9, 10, 17, 21 და 29 ივნისი.

## გაზეთ „ნერგის" პრიზზე



გაზეთ „ნერგის" პრიზზე ნორჩ ფალავანთა ტრადიციულმა შეჯიბრებამ, რომელსაც თბილისის განათლების სამმართველოს სპეციალიზებული სკოლის დარბაზმა (დილმის მასივი) უმასპინძლა, საქართველოს სხვადასხვა კუთხის წარმომადგენლებს მოუყარა თავი. გაგაცნობთ გამარჯვებულებს: თემურ ბაჩიაშვილი, ლევან ახალაური, გოგიტა ჩხეტიანი, ბექა ონიაშვილი (ყველა — ახმეტა), მალხაზ ჩხეტიანი (მესტია), სერგო ბიბილოვი, ოთარ მერაბიშვილი, მიხეილ ზურაბიშვილი (სამივე—მცხეთა), ზაზა ქურხული (საგარეჯო), ვასილ ლექვინაძე (ქუთაისი).

ა. კოტორაშვილის ფოტოები.



საქართველოს X სპარტაკიადა • ძიუდო

# ახმეტა — სანიმუშო მასპინძელი

**ეს** შეჯიბრება, რომელიც 26 მაისს დაემთხვა, საქართველოს სახელმწიფოებრიობის აღდგენის საზეიმო დღის საკადრისი სპორტული დღესასწაული იყო, რაც, უპირველეს ყოვლისა, მასში თითქმის ყველა ჩვენი უძლიერესი სპორტსმენის მონაწილეობამ განაპირობა. თითქმისო, ვამბობ, რადგან რამდენიმე გამორჩეული ძიუდოისტი მაინც დააკლდა ასპარეზობას: ამირან ტოტიკაშვილი ტრავმის გამო ვერ ჩამოვიდა ახმეტაში, გიორგი თენაძე და კობა კურტანიძე კი — ჩვენთვის უცნობი მიზეზების გამო. ამით ყველაზე მეტად გორელები დაზარალდნენ — ეს ორი ცნობილი მოჭიდავეც რომ ყოფილიყო მათ გუნდში, სპარტაკიადის ჩემპიონობის რეალური შანსი ექნებოდათ.

შეჯიბრების უშუალო მონაწილეთა გარდა ახმეტაში (ასპარეზობას მასპინძლობდა პროფკავშირების ჭიდაობის სპეციალიზებული სკოლა) თავი მოიყარეს ქართული ძიუდოს ვეტერანებმაც, ცნობილმა სპეციალისტებმა, მსაჯებმა. ორთაბრძოლების დაწყებამდე მოეწყო მსაჯთა სემინარი, აირჩიეს მსაჯთა რესპუბლიკური კოლეგია (თავმჯდომარე — მერაბ ლოსეურაშვილი), აგრეთვე ვეტერანთა საბჭო (თავმჯდომარე ბიძინა მაზიაშვილი, ასპარეზობის მთავარი მსაჯი). წინასაასპარეზო მუშაობამ თავისი შედეგი გამოიღო — მსაჯობის დონე მაღალი იყო და არავის ჰქონდა ეჭვის და უკმაყოფილების საბაბი.

აქვე ვიტყვი: შეჯიბრების ყველა მონაწილემ მაღალი შეფასება მისცა ახმეტელთა მასპინძლობას. ეს არცაა გასაკვირი, რადგან ახმეტა კარგა ხანია ჭიდაობის ერთ-ერთ მძლავრ კერად იქცა რესპუბლიკაში. აქ ფანატიკურად უყვართ ჭიდაობა, „საკუთარ“, მაღალი დონის ტრადიციულ საკავშირო ტურნირსაც ატარებენ და, ამდენად, საკმაო გამოცდილებაც დააგროვეს.

საქართველოს X სპარტაკიადის პროგრამით გათვალისწინებულ ძიუდოისტთა ტურნირის I ეტაპზე, ზონალურ შეჯიბრებებში, 35 რაიონის 119-მა სპორტსმენმა გაიკაფა გზა ფინალისაკენ. სპეციალისტების გაკვირვება გამოიწვია პირველ ეტაპზე საგარეჯოელთა მარცხმა — მხოლოდ ერთმა იქაურმა სპორტსმენმა შეძლო ფინალური საგზურის მოპოვება. სამაგიეროდ, სასიამოვნო სიურპრიზი იყო ვანის, ჩხოროწყუს და ონის რაიონის წარმომადგენელთა კარგი გამოსვლა, რომლებმაც ფინალურ ასპარეზობაშიც დაიკავეს რამდენიმე საპრიზო ადგილი. ეს იმაზე მეტყველებს, რომ ჩვენს რესპუბლიკაში ძიუდოს განვითარების არეალი კიდევ უფრო ფართოვდება.

რაც შეეხება ფინალურ ტურნირს, იქ, მართალია, სენსაცია არ მომხდარა, მაგრამ ნაკლებ ტიტულოვანი და შედარებით ახალბედა ათლეტები კარგ შთაბეჭდილებას ტოვებდნენ აღიარებულ ფავორიტებთან ორთაბრძოლებშიც. მრავალრიცხოვან მაყურებელს ალბათ დიდხანს დაამახსოვრდება მუმლაძე-ბაგაურის (შესაბამისად ლაგოდეხის და ახმეტის წარმომადგენლები), აბრამიშვილ-მასურაშვილის (ახმეტა-გორი); ავაზნელ-ბახბახიშვილის (გორი-თელავი) და სხვათა ორთაბრძოლები. აბსოლუტურ წონით კატეგორიაში ფინალამდე დამაჯერებლად გაიკაფეს გზა ქუთაისელებმა აკაკი კიბორძალიძემ და დავით ხახალეიშვილმა. რადგან გუნდისთვის მნიშვნელობა აღარ ჰქონდა, რომელი მათგანი გაიმარჯვებდა, ხახალეიშვილი აღარ გამოვიდა ტატამზე და უბრძოლველად დაუთმო პირველობა თანაგუნდელს. კიბორძალიძე მალე ოჯახს მოეკიდება და ხახალეიშვილმა, ეტყობა, თავისებური საქორწინო საჩუქარი მიართვა უფროს მეგობარს.

**ალექსანდრე პაპოშვილი.**
**ჩვენი საკ. კორ.**

**ახმეტა.**

**კვარცხლბეკი**

**60 კგ.** 1. ა. ავაზნელი (გორი), 2. გ. ბახბახიშვილი (თელავი); 3. მ. ლობჟანიძე (ვანი) და ვ. ღელეღუტაშვილი (ყვარელი).

**65 კგ.** 1. მ. აბრამიშვილი (ახმეტა); 2. ვ. არუთინოვი (თელავი); 3. ქ. ქურასბედიანი (ლენტეხი) და ნ. დიმიტრაშვილი (ვანი).

**71 კგ.** 1. გ. მოდებაძე (თბილისი); 2. ა. აზალაძე (გორი); 3. მ. ფლონაშვილი (გარდაბანი) და გ. ხაბულიანი (ლენტეხი).

**78 კგ.** 1. ბ. ჯიქური (თბილისი); 2. ზ. ონიანი (ლენტეხი); 3. ბ. ქოქოევი (ქარელი) და მ. მაზმიშვილი (გორი).

**86 კგ.** 1. ვ. ომარაშვილი (ახმეტა); 2. ა. თენაძე (გორი); 3. დ. ლევანიძე (კასპი) და ნ. ჯალაბაძე (გორის რაიონი).

**95 კგ.** 1. მ. ლობჟანიძე; 2. თ. საკაშვილი (ორივე — თბილისი); გ. მუმლაძე (ლაგოდეხი) და დ. ბაგაური (ახმეტა).

**+95 კგ.** 1. ა. გუბელაძე (ქუთაისი); 2. ვ. პარუნაშვილი (თბილისი); 3. გ. მუმლაძე (ლაგოდეხი) და მ. თოდუა (სენაკი).

**აბსოლუტური.** 1. ა. კიბორძალიძე; 2. დ. ხახალეიშვილი (ორივე—ქუთაისი); 3. შ. ბექაური (თბილისი) და კ. ბოჯგუა (ჩხოროწყუ).

**გუნდური ჩათვლა:** 1. თბილისი — 190,5 ქულა, II. ქუთაისი — 150,5, III. გორი — 149,5, IV. ახმეტა — 120, V. ლენტეხი — 96, VI. გორის რაიონი —81,5.

# ჩემპიონატის წინ

**ეს** შეკრება, თითქმის არაფრით განსხვავდება სხვებისაგან: მოჭიდავეები ტურისტულ სასტუმრო „ვაკეში“ არიან დაბინავებულნი, ჩვეულებრივად ვარჯიშობენ, ისვენებენ, მოკლედ, სპორტსმენთა ყოველდღიურ ცხოვრებას ეწევიან, თუმცა ერთ სიახლეზე გვინდა გავამახვილოთ ყურადღება: სასტუმრო „ვაკის“ დირექციამ ყოველთვიური სტიპენდია დააწესა კლასიკურ ჭიდაობაში საქართველოს ნაკრები გუნდის საუკეთესო სპორტსმენისათვის. პირველი სტიპენდია, რომელიც 200 მანეთს შეადგენს, „ვაკის“ დირექტორმა, სპორტის ოსტატმა ომარ ბერაძემ გადასცა საერთო აღიარებით თვის საუკეთესო „კლასიკოსს“ გელა პაპაშვილს. დაგვეთანხმებით, ამგვარი წახალისება დამატებითი სტიმულის მიმცემი იქნება ნებისმიერი სპორტსმენისთვის.

ნაკრების ახლანდელ მდგომარეობაზე, მის უახლოეს მიზნებსა და პერსპექტივებზე გვესაუბრება მისი მთავარი მწვრთნელი მიხეილ სალაძე: ამჟამად ვემზადებით საკავშირო ჩემპიონატისთვის, რომელიც სულ მალე გაიმართება ხაბაროვსკში. გუნდი უკვე დაკომპლექტებულია 17 სპორტსმენით. სამწუხაროდ, ხაბაროვსკში ვერ გამოემგზავრებიან ჩვენი საუკეთესო მოჭიდავეები, რომლებიც საკავშირო ნაკრების სახელით ასპარეზობენ: კობა გულიაშვილი თურქეთში იმყოფება საერთაშორისო ტურნირზე, გიორგი კოლუაშვილი იტალიაში ჭიდაობს, გურამ გედეხაური და მერაბ დარჩია კი ამერიკის შეერთებულ შტატებში გაემგზავრნენ „კონკურდის“ ტურნირში საასპარეზოდ. აქვე ვიტყვი, რომ ამერიკაში ჩვენც ვიყავით მიწვეულნი, მაგრამ ვალუტის დეფიციტმა გადაგვიღობა გზა და იძულებულნი გავხდით უარი გვეთქვა შესანიშნავ შეჯიბრებაში მონაწილეობაზე. ხაბაროვსკიდან კი, ვიმედოვნებთ, სულ ცოტა 2 „ოქროს“ წამოვიღებთ, თავს არ შევირცხვენთ და ჩვენი კლასიკური ჭიდაობაც, იმედია, დაიბრუნებს ძველ ტრადიციებს, რომელიც გივი კარტოზიამ და მისმა თაობამ დაგვიტოვა.

**ლევან ჯავახიშვილი.**

# თუ კაცი ზონიერია...

**კარბი** სპორტული ტრადიციების მქონე სოფელია დიდი ჭყონი, მაგრამ ფეხბურთს აქ განსაკუთრებული ადგილი უკავია. ყოველი ცისმარე დღე აქ ფეხბურთით თენდება და ფეხბურთით ღამდებაო, ამას ვერ ვიტყვით, მაგრამ სპორტის ეს სახეობა დიდჭყონელთა ყოველდღიურ ყოფას რომ მეტ ხალისსა და ინტერესს სძენს, ეს ფაქტია. აი, დიდი სიყვარული ნაყოფს რომ გამოიღებს, ეს ყველას კარგად მოეხსენება. ორი წლის წინ სოფლის პატარებმა „ტყავის ბურთის“ პრიზის საკავშირო გათამაშებაში მესამე ადგილი დაიკავეს. სამწუხაროდ, ამ ახალგაზრდებს შემდგომში პატრონი არ გამოუჩნდა — სპორტისთვის დაიკარგნენ ვინ იცის, როგორი ნიჭისა და შესაძლებლობების მქონე ახალგაზრდა ფეხბურთელები.

რა მდგომარეობაა ამჟამად?! მარტვილის რაიონის დიდი ჭყონის აგროსამრეწველო კომბინატის დირექტორად დანიშნეს ახალგაზრდა კაცი მირიან გაბუნია, რომელიც ჯერ სოფლის ეკონომიკის განმტკიცებით დაინტერესდა, ხოლო შემდეგ სხვა სფეროსაც მიხედა, მათ შორის სპორტს. კერძოდ, მისი თაოსნობით შეიქმნა საფეხბურთო გუნდი, რომელმაც გაიმარჯვა საქართველოს პირველობის ზონალურ გათამაშებაში და რესპუბლიკის ჩემპიონატის მეორე ჯგუფში თამაშის უფლება მოიპოვა.

მ. გაბუნიამ სხვა ენთუზიასტებთან ერთად გადაწყვიტა ძველი სტადიონისთვის რეკონსტრუქცია გაეკეთებინა. აშენდა მსაჯთა ოთახები, დაიდგა ბილიარდისა და მაგიდის ჩოგბურთის მაგიდები, სტადიონთან მოეწყო ავტოსადგომი და ბოლოს, რაც მთავარია, შეიქმნა პროფესიული საფეხბურთო კლუბი „მამული“, რომლის სპონსორობა აგროსამრეწველო კომბინატმა იკისრა. ახალ სტადიონზე „მამულმა“ საქართველოს ეროვნული ჩემპიონატის (II ჯგუფი) პირველი მატჩი ჩაატარა — ჩოხატაურის „ბახმაროს“ უმასპინძლა. უზომო იყო ფეხბურთელებისა და მთელი სოფლის მოსახლეობის სიხარული.

ერთი შეხედვით ჩვეულებრივ შემთხვევასთან გვაქვს საქმე, მაგრამ ყოველდღიური ყოფის ფონზე, როდესაც ხშირად ყველაფერი ხალხის სურვილის საწინააღმდეგოდ კეთდება, თუ შევაფასებთ მირიან გაბუნიასა და დიდი ჭყონის კოლმეურნეობის ხელმძღვანელთა მოქმედებას, ალბათ, აღარც წერილის სათაური მოგეჩვენებათ უადგილოდ.

**ნუგზარ ქვანია,**
**„ლელოს“ კორ.**



საწყლოსნო-სპორტული კომპლექსი „ვერე“, რომელიც თბილისის სანაპიროზე მდებარეობს და უკვე ოთხი წელია თვითდაფინანსებით მუშაობს, ახლა იჯარაზე გადასვლისთვის ემზადება. კომპლექსის ტერიტორიაზე უკვე მუშაობს ორი სპორტული კოოპერატივი: „ეტალონი“, რომელშიც ათლეტიზმის მოყვარულები მეცადინეობენ, და „იმედი“, სადაც ცურვას სწავლობენ უფროსი ასაკის ადამიანები. სხვათა შორის, ეს თბილისში ამგვარი ტიპის ერთადერთი ორგანიზაციაა.
. ათასხუთასი კაცი ყოველდღე სარგებლობს „ვერეს“ მომსახურებით. კომპლექსი დილიდან 23 საათამდე მუშაობს.
ამ სურათებზე აღბეჭდილია „ვერეს“ ერთი დღის ცხოვრების მომენტები.

მიხეილ კიკვაძის ფოტო (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

# ლიდერი წავიდა, ვინ შეცვლის მას?

**რა** თქმა უნდა, მას, ასე ხელაღებით, ვერც გავრცელებულ სენს და ვერც დამკვიდრებულ ტენდენციას უწოდებ, მაგრამ ამ ვითარების გარკვეული სიმპტომები აშკარად შეიმჩნევა ჩვენს სპორტში. საქმე კი შემდეგშია: ამ რამდენიმე წლის წინათ, საკმარისი იყო, სპორტის ამა თუ იმ სახეობაში გამოკვეთილი ლიდერი გვყოლოდა, საქმე რომ საბოლოოდ გაკეთებულად მიეჩნიათ, მაგრამ იყო კი ლიდერი?! იყო „ოქრო“ თუ „ვერცხლი“, თუმცა... მათი თვალისმომჭრელი ბრწყინვალების იქით აშკარად უჭირდათ იმის დანახვა, თუ ვინ უმაგრებდა ზურგს თავკაცს, ან ვინ იდგა მის უკან, ვისაც მის შემდეგ უნდა ეთავა ლიდერობა.

ამის მაგალითად სამგზის ოლიმპიური ჩემპიონი ვიქტორ სანეევიც კმარა. იგი კი აუმჯობესებდა რეკორდს რეკორდზე, მაგრამ რესპუბლიკაში „სპორტის დედოფლის“ საერთო ბედი დიდად ალარავის აწუხებდა. წავიდა სანეევი დიდი სპორტიდან და მძლეოსნობაში სრული ვაკუუმი შეიქმნა. მაშინღა გამოვფხიზლდით!.. თუმცა ჯერ კიდევ ნაკლებად გვყავს სპორტსმენები, რომლებიც საერთაშორისო შეჯიბრებებშიც არ შეირცხვენენ თავს. ადრე ჩავარდნა გვქონდა თავისუფალ ჭიდაობაში, მაგიდის ჩოგბურთში...

ამის შეგნება ვის სჭირდება, მაგრამ თადარიგიანი კაცი რომ საქმეს თავიდან იწყებს — „არ ახალია!“ კირითხურო იმთავითვე საძირკველს ჭრის...

სპორტსაზოგადოება „შევარდენიც“ ასე მოიქცა, როცა მთელი ყურადღება მომავალ თაობაზე გადაიტანა და ბავშვთა და მოზარდთა რესპუბლიკური სკოლა შექმნა, რომელსაც სათავეში ჩაუდგა სპორტის ისეთი ენთუზიასტი, როგორიც როზა ბერიკაშვილია. მაგიდის ჩოგბურთის სექციები აგრეთვე არის „ლოკომოტივისა“ და თბილისის განათლების სამმართველოს ბავშვთა და მოზარდთა კომპლექსურ სკოლაში, ბათუმის „შევარდენში“.

როგორც ითქვა, საქმის მთელი სიმძიმე იტვირთა „შევარდენმა“, რომელმაც მიზნად დაისახა, მაღალ დონეზე წარმართოს ნორჩებთან მეცადინეობა. ამისათვის კი, კარგად მოგეხსენებათ, რომ პირველ ყოვლისა მატერიალური ბაზა და კვალიფიციური მწვრთნელებია საჭირო. სამწუხაროდ, დღეს „შევარდენს“ არ გააჩნია არც ბაზა და არც მწვრთნელები, თანამედროვე მოთხოვნებს რომ პასუხობდნენ.

ავიღოთ მწვრთნელის მდგომარეობა, მისი მატერიალური ანაზღაურების საკითხი. მას, სულ ცოტა, 94 ბავშვი უნდა ჰყავდეს, განაკვეთნახევარი, ე. ი. 150 მანეთი ხელფასი რომ ჰქონდეს. ამისათვის მწვრთნელმა დარბაზიდან დარბაზში უნდა ირბინოს, მთელი დღის განმავლობაში 6 საათი რომ აითვისოს, ვინაიდან ქალაქის არც ერთ დარბაზში მას ზედიზედ 6 საათს სამეცადინოდ არავინ გამოუყოფს. ცხადია, ასეთ ვითარებაში მკვეთრად ეცემა მისი მუშაობის მარგი ქმედების კოეფიციენტი, და ამდენად, მეთოდურ, მწყობრ, თანამედროვე მოთხოვნათა დონეზე მუშაობაზე ლაპარაკი ზედმეტია. ამის გამოა, მომეცადინეთა შენარჩუნება სექციებში რომ ჭირს. მაგრამ ამას ადვილად მოევლებოდა, თბილისის პირველი მაისის რაიალმასკომის დადგენილება რომ განხორციელებულიყო, რომლის მიხედვით, სკოლას უნდა გადაეცეს ძველი კინოსტუდიის გამოთავისუფლებული 250-300 კვ. მ. ფართობის საქვაბე, რაც დიდი შეღავათი იქნება სპორტსმენებისათვის, და იქ ოლიმპიური მზადების ცენტრიც კი შეიქმნებოდა. სწორედ იქ დაფრთიანდებოდნენ ის 11-12 წლის იმედისმომცემი გოგონები, რომლებმაც ახლა ამ სკოლაში მოიყარეს თავი.

თუ რა სარგებლობა მოაქვს ძლიერ სპარინგპარტნიორთან შეხვედრას, ამის მადლი სკოლის აღსაზრდელებმა შარშან შეიგრძნეს, როცა წალენჯიხაში საბანაკო შეკრებაზე მინსკელი მოსწავლეები მიიწვიეს საასპარეზოდ. მაგრამ, სამწუხაროდ, სკოლას ამის საშუალება ყოველთვის არა აქვს. იგი არც ინვენტარითაა განებივრებული. ნორჩებს არა აქვთ ჩოგნები და სხვა სათანადო აღჭურვილობა, დამხმარე სავარჯიშო იარაღები. არადა, ჰყავთ პერსპექტიული ბავშვები — ლევან ბურკაძე, გაგი და მაია ნოზაძეები, დიანა შიროხოკოვა, ანჟელა ტადტაევა, პაატა ბარამაშვილი, არჩილ იარაძე, პაატა კვირკველია. ეს ის ჩოგბურთელები არიან, რომელთაგანაც შეირჩევა საქართველოს მოსწავლეთა ნაკრები, რომელიც მალე მოსწავლეთა საკავშირო სპარტაკიადაზე საქართველოს ღირსებას დაიცავს. მათ რიგებს, ალბათ, შეავსებენ ცხინვალელი მწვრთნელის — ლიდა ოსტაევას, ქუთაისელ — ანა ვანდოროს, თელაველ — ნიკო ვაყელიშვილისა და თბილისელ — კოტე ბაირამაშვილის აღსაზრდელები.

— ჩვენს სახეობაში შექმნილი საკმაოდ ულიმღამო მდგომარეობის მიუხედავად, — თქვა რ. ბერიკაშვილმა, — მომავალს მაინც იმედის თვალით ვუყურებთ. ამის თქმის საფუძველს მაძლევს, პირველ ყოვლისა, ჩვენი სპონსორის — თბილისის ფეხსაცმლის გაერთიანება „ისანის“, მისი დირექტორის — ადონის ჰანტურიას დიდი მხარდაჭერა და დახმარება, აგრეთვე ის, რომ ბოლოსდაბოლოს დაიმსხვრევა ბიუროკრატიული ბარიერი, რაც ხელს გვიშლის ბაზის გამოყოფაში, მერე კი შედეგები და გამარჯვებები არც ჩვენს სახეობაში დააყოვნებს. ისინი უთუოდ გამოჩნდებიან, იმ 300-მდე მოზარდიდან, დღეს მაგიდის ჩოგბურთს რომ მისდევს.

ოღონდაც!

**სუზანა პიპინაძე.**

# სადისციპლინო კომისიის სხდომა

**გაიმართა რესპუბლიკის ფეხბურთის ფედერაციის სადისციპლინო კომისიის მორიგი სხდომა.**

გურჯაანში I ჯგუფის XI ტურის მატჩში ადგილობრივი „ალაზანი“ გაგრის „სიხარულ-90“-ს მასპინძლობდა. ლიდერთა ეს მატჩი ფრედ დამთავრდა — 0:0. მსაჯის საფინალო სასტვენის შემდეგ გურჯაანელმა სპორტსმენებმა არბიტრს სთხოვეს დრო აღენიშნა. აღმოჩნდა, რომ შეხვედრა ზუსტად იყო დამთავრებული, მაგრამ მაყურებლებმა არ დაიჯერეს, გადმოცვივდნენ მინდორზე და ვინ იცის წესრიგის დამცველთა ყურადღება რომ არა, როგორ დამთავრდებოდა ინციდენტი. სადისციპლინო კომისიამ სტადიონს 2 თამაშით დისკვალიფიკაცია გამოუტანა, ხოლო კლუბი 3.000 მანეთით დააჯარიმა.

ამავე ჯგუფის ფეხბურთელთა მატჩში ზესტაფონის „მარგვეთი“ მეზობელი რაიონის გუნდს — საჩხერის „ჩიხურას“ ხვდებოდა. თამაში მასპინძლებმა მოიგეს — 4:2, მსაჯის სიტყვიერი შეურაცხყოფისათვის ჯერ გააფრთხილეს, ხოლო შემდეგ კი მინდვრიდან გააძევეს საჩხერელი ბ. გოგსაძე, კომისიამ ამ ფეხბურთელს 10 კალენდარული მატჩით გამოუტანა დისკვალიფიკაცია, კლუბმა კი ბ. გოგსაძე 200 მანეთით დააჯარიმა.

უსიამოვნო შემთხვევა მოხდა გალში, სადაც უმაღლესი ჯგუფის ფეხბურთელთა XI ტურის შეხვედრაში ადგილობრივი „მზიური“ ქუთაისის „ქუთაისს“ მასპინძლობდა. თამაში თავიდან კორექტულად მიმდინარეობდა, რაც მატჩის კომისარმა, ბათუმელმა მ. კუსიდიმაც დაადასტურა, მაგრამ 65-ე წუთზე, როცა მსაჯმა გ. სეფიაშვილმა „მზიურის“ კარში სამართლიანად დანიშნა თერთმეტმეტრიანი დარტყმა, მასპინძელთა გუნდის მოთამაშეებმა საყვედური გამოთქვეს, ამ დროს რამდენიმე მაყურებელმა შეაღწია მინდორზე და ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენა გვერდით მსაჯს. მსაჯებმა ვერ შეძლეს მინდვრიდან გასვლა და თამაშის მიტოვება, ამის საშუალებას არ აძლევდნენ ვაიგულშემატკივრები და შეხვედრაც რამდენიმე წუთით შეჩერდა. მატჩის ბოლოს „მზიურის“ მოთამაშეებმა გაათანაბრეს ანგარიში, ამ დროსაც შემოვიდა მაყურებელი მინდორზე და კვლავ შეწყდა თამაში, დარჩენილი დრო მსაჯებმაც და ფეხბურთელებმაც, ვალის მოხდით დაჰყვეს მინდორზე, რადგან თამაშის გაგრძელებას დარჩენილ წუთებში არავითარი აზრი აღარ ჰქონდა. ასეთ არანორმალურ პირობებში დამთავრდა ეს მატჩი გალში. ქუთაისელებმა ეს შეხვედრა, როგორც ჩვენი გაზეთის მკითხველებმა იციან, გააპროტესტეს, კომისიამ პროტესტი მიიღო და ეს გუნდები კვლავ შეხვდებიან ერთმანეთს ნეიტრალურ მინდორზე.

კომისიამ სტადიონს 4 თამაშით მისცა დისკვალიფიკაცია (ამ ოთხ მატჩში შედის გაპროტესტებული შეხვედრაც!), 10.000 მანეთით დაჯარიმდა „მზიურის“ საფეხბურთო კლუბი.

გორში „დილისა“ და ზუგდიდის „ოდიშის“ მატჩში (შეხვედრა მასპინძელთა გამარჯვებით — 2:1 დამთავრდა), სტადიონზე მოსულმა ორივე გუნდის გულშემატკივრებმა ერთმანეთში ხელჩართული „ბრძოლა“ გააჩაღეს, წესრიგის დამცველებმა რის ვაივაგლახით შეძლეს მათი დაშოშმინება. ადგილობრივი სტადიონის დირექციას ამ ფაქტის გამო მკაცრად მიეთითა.

ლანჩხუთის „გურიისა“ და წყალტუბოს „სამგურალის“ მორიგი კალენდარული მატჩის დროს ერთმანეთთან ჩხუბისთვის არბიტრმა მ. ჭელიძემ წითელი ბარათები აჩვენა ლანჩხუთელ ო. კოროღლიძესა და წყალტუბოელ ა. კერესელიძეს. კომისიამ ორივე ფეხბურთელს თითო თამაშით გამოუტანა დისკვალიფიკაცია, ფეხბურთელები 500-500 მანეთ ჯარიმას გადაიხდიან.

პირველი ჯგუფის გუნდების დუშეთის „არაგვისა“ და თერჯოლის „საპოვნელას“ მატჩში, ორი გაფრთხილების შემდეგ მინდვრიდან გააძევეს დუშელი მ. ფუხაშვილი. მას 10 თამაშით მისცეს დისკვალიფიკაცია.

თბილისში, ცხინვალის „ლიახვისა“ და ოჩამჩირის „ამირანის“ შეხვედრაში, რუსთაველმა არბიტრმა [ა]. წერეთელმა სიტყვიერი შეურაცხყოფისთვის მინდვრიდან გააძევა ცხინვალელები ა. დოგუზოვი და ვ. ჯიოევი, რომლებიც, შესაბამისად ერთ და ორ მატჩს გამოტოვებენ.

ათ კალენდარულ შეხვედრაში აუკრძალეს თამაში ლაითურელ ა. ჩარჩიანს, რომელმაც სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენა არბიტრს.

სადისციპლინო კომისიის სხდომაზე განიხილეს და მოიწონეს აზრი იმის შესახებ, რომ სათამაშო მინდორი და ტრიბუნები გაიყოს რკინის ღობით ან სხვა დამცავი საშუალებებით, რადგან მაყურებელთა მხრიდან დარღვევები მატულობს. ეს არღვევს თამაშის ნორმალურ რიტმს და ჩრდილს აყენებს ეროვნულ ჩემპიონატს.



# ვ. ლობანოვსკის ინტერვიუ

**მსოფლიოს** საფეხბურთო ჩემპიონატის დაწყებამდე სულ ცოტა დარჩა, ამიტომაც ახლა განსაკუთრებული ფასი აქვს ფინალში მონაწილე გუნდების ხელმძღვანელთა მოსაზრებებს, პროგნოზებს. ამას წინათ საბჭოთა ტელევიზიით გამოვიდა სსრ კავშირის ნაკრების მთავარი მწვრთნელი ვ. ლობანოვსკი. მის ინტერვიუში, სიმართლე რომ ითქვას, დიდი ოპტიმიზმი და ენთუზიაზმი არ იგრძნობოდა.

სულ ახლახან ვ. ლობანოვსკის ესაუბრა „კომსომოლსკაია პრავდას“ კორესპონდენტი. მოკლედ მოგვყავს მთავარი მწვრთნელის ინტერვიუს შინაარსი.

— ჩვენი გუნდის მაქსიმალური ამოცანაა ნახევარფინალში გასვლა. მაგრამ ვინაიდან ასეთივე მიზანს კიდევ დაახლოებით 10-20 გუნდი ისახავს, მისი განხორციელება იოლი არაა. ბოლო საკონტროლო შეხვედრებმა ირლანდიისა და ისრაელის გუნდებთან ჩვენი მრავალი ნაკლი გამოამჟღავნა — თქვა ვ. ლობანოვსკიმ. — გამოვცადეთ ყველანი, ვისი იმედიც კი გვქონდა, მაგრამ ოპტიმალურ შემადგენლობას ჯერ მაინც ვერ მივაგენით. აშკარად არ გვყოფნის მაღალი კლასის ფეხბურთელები და, საერთოდ, ეს ექსპერიმენტები კარგი ცხოვრებით არაა გამოწვეული. მთავარი მოვლენები კი, მოგეხსენებათ, წინაა. შემიძლია ვთქვა, რომ აშკარად გამოკვეთილი ფავორიტი ჯერ არ ჩანს, ჩემპიონატის ყველა მონაწილეს აქვს გარკვეული ჩავარდნები. ჩვენს ფეხბურთელთა ნაწილს აკლია ფიზიკური მომზადება, ნაწილს — ტექნიკა, ნაწილს — ტაქტიკური მომზადება და გამოცდილება. ამის გამო ნაკრებში ვერ შევიყვანეთ ჩერენკოვი, პროტასოვი, სალენკო, კირიაკოვი, კოლივანოვი.

კორესპონდენტის შეკითხვაზე, იმოქმედა თუ არა ნაკრების მომზადების დონეზე საქართველოს და ლიტვის ფეხბურთელთა საკავშირო ფედერაციიდან გასვლამ, ვ. ლობანოვსკიმ უპასუხა:

— სსრ კავშირის ჩემპიონატში დარჩა 13 მონაწილე გუნდი, ამასთან დაკავშირებით კალენდარში შეიქმნა ფრიად არასასურველი არითმია, მოთამაშეთა ფუნქციური მდგომარეობაც სხვადასხვაა. რა თქმა უნდა, ნაკრებში გვყავდა კანდიდატები თბილისის „დინამოდანაც“ და ვილნიუსის „ჟალგირისიდანაც“.

დაბოლოს, ვ. ლობანოვსკიმ კიდევ ერთხელ აღნიშნა, რომ მისთვის ახლანდელი მსოფლიო ჩემპიონატის ფინალი ბოლოა ნაკრების მთავარი მწვრთნელის პოსტზე. იტალიის მსოფლიო ჩემპიონატის შემდეგ იგი დარჩება მხოლოდ კიევის „დინამოში“.

## ბოლო რეპეტიციები

**იტალიის** ფეხბურთელთა ნაკრებმა, რომელიც მომავალი მსოფლიო ჩემპიონატის ერთ-ერთი ფავორიტია, პერუჯაში მიიღო საბერძნეთის გუნდი და, მოულოდნელად, მხოლოდ ფრეს დასჯერდა — 0:0.

იტალიელთა რიგებში საკმაოდ ხანგრძლივი შესვენების შემდეგ, რაც ტრავმებით იყო გამოწვეული, კვლავ გამოჩნდა წამყვანი თავდამსხმელი ვიალი. მასპინძლებს თავიდანვე ხელთ ეპყრათ ინიციატივა, მაგრამ ვერ შეძლეს ხელსაყრელი მომენტების გამოყენება, მატჩის დასასრულს კი მეკარე ტაკონიმ რამდენიმეჯერ იხსნა თავისი გუნდი საშიფათო მომენტისგან.

იტალიელი ჟურნალისტები საგანგებოდ ხაზს უსვამენ, რომ წლევანდელ სეზონში ჩატარებულ 4 საერთაშორისო მატჩში იტალიის ნაკრებმა მხოლოდ 1 ბურთის გატანა შეძლო.

მომდევნო საკონტროლო შეხვედრას მსოფლიო ჩემპიონატის მასპინძლები დღეს გამართავენ ქალაქ არეცოში საფრანგეთის საკლუბო გუნდ „კანთან“.

**ჰოლანდიელი** ფეხბურთელები, აგრეთვე, ითვლებიან მსოფლიო ჩემპიონობის კანდიდატებად. მათ საკონტროლო შეხვედრა გამართეს ავსტრიის ნაკრებთან ვენის „პრატერის“ სტადიონზე და დამარცხება განიცადეს — 2:3.

ავსტრიელებს თამაშის დასაწყისიდანვე ჰქონდათ საერთო უპირატესობა, უკვე მე-3 წუთზე ანგარიში გახსნა მცველმა პეცლმა, შესვენების შემდეგ მეორე ბურთი გაიტანა ჩაკმა და სულ მალე პფეფერმა მესამე ბურთი მოათავსა სტუმართა კარში. ჰოლანდიელები მხოლოდ ამის შემდეგ გააქტიურდნენ, პირველი საპასუხო ბურთი გაიტანა კუმანმა, ხოლო მეორე — ვან ბასტენმა.



ამ წარმატების მიუხედავად, ავსტრიელთა მწვრთნელი ი. ჰიკერსბერგერი უკმაყოფილო დარჩა იმით, რომ მისმა გუნდმა ვერ შეძლო ანგარიშში ასეთი დიდი სხვაობის შენარჩუნება. რაც შეეხება ჰოლანდიელთა ხელმძღვანელს ლ. ბეენჰაკერს, კორესპონდენტებს მან განუცხადა: „ნახეთ მატჩი, სადაც ერთი მხარე აბსოლუტურ მზადყოფნაშია ჩემპიონატისთვის, ხოლო მეორეს ჯერ კიდევ მრავალი პრობლემა აქვს გადასაჭრელი. მხოლოდ ერთი საკონტროლო მატჩი დაგვრჩა 3 ივნისს ზაგრებში იუგოსლავიელებთან, დრო კი არ ითმენს. საჭიროა თამაშის მორეგულირება და ფეხბურთელთა განწყობის გაუმჯობესება“.

**მალაქ** ვერონაში ურუგვაის ნაკრებმა საწვრთნელი მატჩი გამართა ადგილობრივ გუნდთან, რომელიც იტალიის ჩემპიონატის მე-3 დივიზიონში გამოდის. სტუმრები ფრთხილად მოქმედებდნენ და გართულებებს ერიდებოდნენ. პირველი გაშვებული ბურთის შემდეგ მათ მეორე ტაიმში ორი გოლი გაიტანეს მეტოქის კარში (ალსამენდი, ერერა).

**გერმანიის** ფედერაციული რესპუბლიკის ქალაქ გელზენკირხენში დასავლეთ გერმანიის ნაკრებმა გაჭირვებით სძლია დანიის გუნდს — 1:0, გოლი 36-ე წუთზე გაიტანა ფიოლერმა.

დასავლეთგერმანელმა მწვრთნელმა ფ. ბეკენბაუერმა ამ შეხვედრაში თითქმის ყველა სათადარიგო მოთამაშე გამოსცადა და 10 შეცვლა მოახდინა. იგი კმაყოფილი დარჩა დაცვისა და შუა ხაზის მოთამაშეთა მოქმედებით.

# ფეხბურთი, „ულტრა“ და პოლიცია

**იტალიაში** ფეხბურთის მსოფლიო ჩემპიონატის ჩატარებამდე დიდი დრო აღარ დარჩა და მისი ორგანიზატორები სულ უფრო ხმამაღლა და დაუფარავად გამოთქვამენ შეშფოთებას სტადიონებზე ვანდალიზმის სწრაფი ზრდის გამო. ადგილობრივ კლუბებს კი ჩანს ძალა არ შესწევთ დააცხრონ უკიდურესად გაცხარებული გულშემატკივრების, „ტიფოზების“ ვნებათაღელვანი.

იტალიის შარშანდელი ჩემპიონატის ბოლო ტურის ცხრა მატჩის ჩასატარებლად ათი ათასი პოლიციელი და ოცდაათი ვერტმფრენი მოიშველიეს. ეს გამოიწვია „ფიორენტინის“ გულშემატკივართა ბანდიტურმა გამოხდომამ „ბოლონიის“ მომხრეთა წინააღმდეგ, რომლებიც მატარებლით მიემგზავრებოდნენ მატჩზე. შედეგად მძიმედ დაშავდნენ თოთხმეტი წლის ივან დალ'ოლიო და ოცდაერთი წლის მასიმო აკორიზი. მათმა თანაქალაქელებმა სამაგიერო მიუზღეს ფლორენციელებს და ცემატყეპა აუტეხეს მატჩის მსვლელობის დროს.

„ულტრების“ პირველი დაჯგუფებები იტალიაში გაჩნდა ოთხმოციანი წლების დასაწყისში. შეიძლება მაშინ მათ „თავიანთი“ გუნდის მიმართ გამოჩენილი განუსაზღვრელი თაყვანისცემა აერთიანებდათ. თუმცა, თანდათან იგი „მოწინააღმდეგის“ აშკარა აუტანლობაში გადაიზარდა და თავიანთ სიმპათიებსა თუ ანტიპათიებს ეს „გულშემატკივრები“ არა მარტო მუშტიკრივით გამოხატავდნენ, არამედ დაუფარავად იყენებდნენ იარაღსაც, მათ შორის ცეცხლსასროლსაც.

როგორც იტალიური პრესა ამტკიცებს, სტადიონებზე გავრცელებული ძალადობა ქვეყნის პოლიტიკურ არენაზე ვნებათა დაძაბულობის ერთგვარი გამოძახილია. მაგალითისათვის შორს წასვლა არ არის აუცილებელი: რომის პოლიციის მიერ „ულტრების“ საიდუმლო ბუნაგის ერთ-ერთი ბოლოდროინდელი დარბევის დროს დანებისა და პისტოლეტების სოლიდურ არსენალთან ერთად დიდი რაოდენობის „პოლიტიკური იარაღი“ — ნაცისტური ლიტერატურა, მუსოლინის ფოტოსურათები, სვასტიკიანი ემბლემებიც აღმოჩნდა.

ზოგიერთ მწვრთნელს ძალადობის ერთ-ერთ მთავარ მიზეზად ფული მიაჩნია. მართლაცდა, იტალიელი მეცენატები სახსრებს არ იშურებენ ეროვნული ჩემპიონატის, „კალჩოს“ მდიდრულად ჩასატარებლად. ყიდულობენ ყველაზე ძვირადღირებულ უცხოელ „ვარსკვლავებს“. ესწრაფვიან რა ფანტასტიკური ჰონორარების მიღებას, ფეხბურთელები თამაშის წესების უგულებელყოფასთან ერთად აშკარად ივიწყებენ სპორტულ ღირსებას, ეთიკას და ხულიგნობენ, რაც საფრთხეს უქმნის მოწინააღმდეგის ჯანმრთელობას. და ამიტომაც თითქმის ყოველი მატჩი გლადიატორთა ორთაბრძოლას ემსგავსება, რომლის დროსაც „მეომართა“ დაცხრომა მსაჯთა ყვითელსა და წითელ ბარათებსაც კი არ ძალუძთ. და ცხადია, რომ თავიანთ კერპებს უმალ ბაძავენ ტრიბუნებზე მყოფი გულშემატკივრები. მიიჩნევენ რა მწვრთნელები ყველაფერ ამის მიზეზად ფულს, მოითხოვენ, უზარმაზარი ჯილდოების შემცირებას, მაგრამ კლუბების მეპატრონეები ყურად არ იღებენ ამას.

თუმცა, ნუთუ მართლა ასეთი დამღუპველია დოლარები და ლირები? — კითხულობენ იტალიის სპორტული მიმომხილველები და სამაგალითოდ ამერიკულ პროფესიულ ფეხბურთსა და კალათბურთს ასახელებენ, სადაც კოლოსალური ფულადი ჯილდოების, მიუხედავად, მსგავსი არაფერი ხდება.

მანამ დისკუსიები და მსჯელობებია, ფეხბურთის ნამდვილი გულშემატკივრები იმ დღეზე ოცნებობენ, როცა საზოგადოებას საშუალება ექნება, თეატრის დარად, მწვანე მინდორზე მშვიდად უყუროს სპორტულ სანახაობას, აღარ ეშინოდეს დანის დარტყმისა, ბოთლის თავში ჩარტყმისა ანდა აბობოქრებული ბრბოს მიერ გადათელვისა. იქნებ არც ისე შორს არის ოცნება სინამდვილისაგან? პრესამ „მომავლის საფეხბურთო სპექტაკლი“ უწოდა შარშან, წლის მიწურულს, მილანში გამართულ საჩვენებელ შეხვედრას ქვეყნის ჩემპიონ „ინტერსა“ და „ფიორენტინას“ შორის. მეგობრული, მართლაცდა ჯენტლმენური მატჩის ორგანიზატორებმა ბევრი რამე გადმოიღეს ამერიკული საკალათბურთო შოუ-ბიზნესიდან. კერძოდ, მოთამაშეები პირველად გამოდიოდნენ მინდორზე თითო-თითოდ და როცა მათს ვინაობას აცხადებდნენ, ტრიბუნები ოვაციებს მიჰქონდა და არა პეტარდებს. სიახლე ტიფოზებსაც მოეწონათ.

მსოფლიო ჩემპიონატის მოახლოებასთან ერთად სტადიონებზე უსაფრთხოების უზრუნველყოფის პრობლემა სულ უფრო მაღალი ინსტანციების მსჯელობის საგანი ხდება. ზოგიერთი „დრაკონისებური“ ზომების გატარების მომხრეა, რაც თავზეხელაღებული გულშემატკივრების გუნდების ცარიელ ტრიბუნებიან სტადიონებზე შეხვედრებს ითვალისწინებს. ბევრი კიდევ უფრო შეურიგებელია და მკაცრი, როცა მხარს უჭერს სახელგანთქმული ჰოლანდიელის გულიტის მოთხოვნას, რომ საზოგადოებრივი წესრიგის დამრღვევები ექვსი-რვა წლით გაიწვიონ არმიაში, სადაც ხულიგნებს ადამიანებად აქცევენ.

**მოამზადა ზელა ჯილაურმა.**

ისინი იტალიაში გამოვლენ

# ეგვიპტე

**მსოფლიოს** XIV საფეხბურთო ჩემპიონატის ფინალური ეტაპის მეექვსე ქვეჯგუფი შემადგენლობით, ალბათ, ერთ-ერთი ყველაზე უფრო ძლიერია. წილისყრამ ნამდვილად არ გაუმართლა ეგვიპტელებს, როცა ჩემპიონატის პირველივე ეტაპზე ესოდენ სერიოზულ მეტოქეებს დაუპირისპირა, პირველ მატჩს კი ეგვიპტელი ფეხბურთელები მსოფლიო ფეხბურთის ერთ-ერთ გრანდთან ჰოლანდიის ნაკრებთან გამართავენ 12 ივნისს.

მაგრამ, მიუხედავად ამისა, ეგვიპტელთა მწვრთნელი მუჰამედ ალ გოჰარი ოპტიმისტურადაა განწყობილი: „ჩვენი მეტოქეები უდავოდ ძლიერები არიან, მაგრამ ყოველ მათგანს აქვს ნაკლი და ვეცდებით იგი ჩვენს სასარგებლოდ გამოვიყენოთ. ჩვენ უკეთესად ვიცნობთ მეტოქეებს, ვიდრე ისინი — „ჩვენ“.

მაგრამ ამის საწინააღმდეგოდ მეტყველებს ის ფაქტი, რომ ინგლისისა და ირლანდიის გუნდების ხელმძღვანელები სპეციალურად დაესწრნენ ეგვიპტელთა მიერ სამხრეთ კორეასთან და დანიასთან გამართულ მატჩებს და აფრიკელ ფეხბურთელებს მათი ევროპელი მოწინააღმდეგეები სრულიადაც არ თვლიან არასერიოზულ მეტოქედ.

ეგვიპტელი ფეხბურთელები სულ მეორედ მონაწილეობენ მსოფლიო ჩემპიონატებში. ნიშანდობლივია, რომ მათი „პრემიერა“ 1934 წელს სწორედ იტალიაში შედგა, მაგრამ იგი, სამწუხაროდ, მხოლოდ ერთი „სპექტაკლით“ შემოიფარგლა: ეგვიპტელები დამარცხდნენ უნგრელებთან — 2:4 და... 56 წლით გამოეშვიდობნენ მსოფლიოს უპირველეს ასპარეზობას.

წლევანდელი ჩემპიონატის შესარჩევ ტურნირში ეგვიპტის ნაკრებმა 8 მატჩი გამართა. ჯგუფური ტურნირი ასეთი შედეგებით დამთავრდა: ეგვიპტე — ლიბერია 2:0, მალავი — ეგვიპტე 1:1, კენია — ეგვიპტე 0:0, ლიბერია — ეგვიპტე 1:0, ეგვიპტე — მალავი 1:0, ეგვიპტე — კენია 2:0. ტურნირის ფინალური ნაწილის გადასასვლელი შეხვედრების შედეგები: ალჟირი — ეგვიპტე 0:0, ეგვიპტე — ალჟირი 1:0.

ამრიგად, ეგვიპტის ნაკრებმა გზა გაიკაფა მსოფლიო ჩემპიონატის ფინალურ ტურნირში. „იტალიის საგზური საშუალებას გვაძლევს ჩვენი თავი გავაცნოთ საფეხბურთო სამყაროს, — ამბობს მუჰამედ ალ გოჰარი. — საწყენი იქნება, თუ ამ შანსს ვერ გამოვიყენებთ. თუ გუნდმა კარგად ითამაშა, ეს დიდ ზემოქმედებას იქონიებს მთელს ეგვიპტურ ფეხბურთზე. რიგი მოთამაშეების ევროპულ კლუბებში მიწვევა კი, თუ ეს მოხდა, დაეხმარება როგორც ჩვენს კლუბებს, ასევე ნაკრებს“.

ეგვიპტელები უფრო სანახაობრივი, იმპროვიზაციული ფეხბურთის მიმდევრები არიან, რაც ძალზე მოსწონთ ადგილობრივ გულშემატკივრებს. ამას არც უფროსი მწვრთნელი ეწინააღმდეგება, მაგრამ მიაჩნია, რომ მხოლოდ ეს არ არის საკმარისი და სურს თავის აღსაზრდელებს ფეხბურთისადმი ბრიტანული, ჰოლანდიური მიდგომა ჩაუნერგოს. იგი ცდილობს ერთმანეთს შეუხამოს ტოტალური სტილი და სანახაობრიობა, შექმნას გუნდი, რომელიც ეროვნულ ფეხბურთს არაბული აქცენტით ითამაშებს.

ჩემპიონატისთვის მზადების პერიოდში გუნდი საგრძნობლად გაახალგაზრდავდა, აქცენტი ნიჭიერ, სწრაფ ფეხბურთელებზე გაკეთდა. ვინ გამოვა იტალიის სტადიონებზე? **მეკარეები** — ახმედ შუბეირი (დაიბადა 1960 წლის 28 სექტემბერს), აიმან ტაბირი(7.01.66), ხალედ მუსტაფა (7.09.65); **მცველები** — რაბია იასინი (7.09.60), ახმედ რამზი (25.10.65), ხიშამ იაკანი (10.08.65), აშრაფ კასემი (25.07.66), ხანი რამზი (10.03.69), იახია სიდკი (5.08.61), საბერ იდი (20.05.59); **ნახევარმცველები** — ალა მახგუბი (19.01.63), მაგდი აბდელ განი (27.07.59), ბადრ რაგაბი (26.09.66), ისმაილ იუსეფი (8.06.64), თარეკ სულეიმანი (24.01.62), ტახერ აბუ ზეიდი (27.04.62), ახმედ ალ-კასი (8.07.55); **თავდამსხმელები** — საბერ იდი (29.03.69), მუჰამედ რამადანი (11.09.63), აიმან შაუკი (9.12.62), გამალ აბდელ ჰამიდი (24.11.57), ხასან ხასანი (10.08.66), ხიშამ აბდელ რასული (6.10.64).

თავისი მომავალი მეტოქეებიდან ოფიციალური მატჩი ეგვიპტელებმა მხოლოდ ერთხელ ითამაშეს ინგლისელებთან და დამარცხდნენ — 0:4.

„იმ შემთხვევაში, თუ ჩემი ბიჭები ძალიან მოინდომებენ, მჯერა, ალაჰი არ მოგვატოვებს“ — ასეთია მწვრთნელის აზრი.

**გიორგი ქორქია.**

## მხოლოდ ტექნიკური შედეგები

**გთავაზობთ კალათბურთელ ვაჟთა რესპუბლიკური ჩემპიონატის მორიგი შეხვედრების შედეგებს:**

**24 აპრილი.** „მართვე“ (თბილისი) — „სინათლე“ (თბილისი) 117:89 (59:41). მსაჯები: ს. მაღალაშვილი და ლ. აზიზოვა (ორივე — საკავშირო კატეგორია).

**25 აპრილი.** „მართვე“ (თბილისი) — „სინათლე“ (თბილისი) 87:85 (41:40). მსაჯები: რ. ხომერიკი (საერთაშორისო კატეგორია) და ს. მაღალაშვილი (საკავშირო კატეგორია).

**24 აპრილი.** ფიზკულტურის ინსტიტუტი (თბილისი) —სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი (თბილისი) 111:77 (54:45). მსაჯები: მ. ქურიძე, (საერთაშორისო კატეგორია) და ს. მაღალაშვილი (საკავშირო კატეგორია).

**25 აპრილი.** ფიზკულტურის ინსტიტუტი (თბილისი) — სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი (თბილისი) 100:109 (54:48). მსაჯები: მ. ქურიძე (საერთაშორისო კატეგორია) და ს. მაღალაშვილი (საკავშირო კატეგორია).

**28 აპრილი.** „ტბეთი“ (ბათუმი)— — „მართვე“ (თბილისი) 25:55 (10:33). მსაჯები: ზ. აბაშიძე (საკავშირო კატეგორია) და ზ. მოსეშვილი.

**29 აპრილი.** „ტბეთი“ (ბათუმი)— „მართვე“ (თბილისი) 38:59 (13:29). მსაჯები: ზ. აბაშიძე (საკავშირო კატეგორია) და ს. ავერინი.

**28 აპრილი.** ჰიათურა — ფიზკულტურის ინსტიტუტი (თბილისი) 83:97 (34:48), მსაჯები: გ. ოსიაშვილი (საკავშირო კატეგორია) და ვ. სამხარაძე.

**29 აპრილი.** ჰიათურა — ფიზკულტურის ინსტიტუტი (თბილისი) 53:69 (25:26). მსაჯები: გ. ოსიაშვილი (საკავშირო კატეგორია) და ვ. სამხარაძე.

**28 აპრილი.** სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი (თბილისი) — საქართველოს სუბტროპიკული მეურნეობის ინსტიტუტი (სოხუმი) 138:117 (68:68). მსაჯები: ა. როსტომაშვილი (საკავშირო კატეგორია) და ვ. გოლოვანოვი (რესპუბლიკური კატეგორია).

**29 აპრილი.** სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი (თბილისი) — საქართველოს სუბტროპიკული მეურნეობის ინსტიტუტი (სოხუმი) 98:87 (51:53). მსაჯები: ვ. გოლოვანოვი (რესპუბლიკური კატეგორია) და გ. გრიგორიანი.

**28 აპრილი.** „შევარდენი“ (თბილისი) — უნივერსიტეტი (თბილისი) 102:95 (49:50). მსაჯები: მ. ქურიძე (საერთაშორისო კატეგორია) და ზ. ზამთარაძე.

**29 აპრილი.** „შევარდენი“ (თბილისი) — უნივერსიტეტი (თბილისი) 94:105 (45:57). მსაჯები: მ. ქურიძე (საერთაშორისო კატეგორია) და ზ. ზამთარაძე.

**12 მაისი.** „აზოტი“ (რუსთავი)— „დინამო“ (თბილისი) 72:70 (47:31). მსაჯები: გ. მოლოდინაშვილი და ს. ბარამიძე.

**13 მაისი.** „აზოტი“ (რუსთავი)— „დინამო“ (თბილისი) 71:61 (35:28). მსაჯები: გ. მოლოდინაშვილი და ა. ლომიძე (რესპუბლიკური კატეგორია).

**18 მაისი.** „აზოტი“ (რუსთავი) — ტექნიკური უნივერსიტეტი (თბილისი) 71:80 (38:40). მსაჯები: გ. ამბარცუმიანი (საკავშირო კატეგორია) და ვ. გოლოვანოვი (რესპუბლიკური კატეგორია).

**19 მაისი.** „მართვე“ (თბილისი)— — სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი (თბილისი). 108:131 (49:69). მსაჯები: ს. მაღალაშვილი (საკავშირო კატეგორია) და ვ. ჰოტაშვილი.

**20 მაისი.** „მართვე“ (თბილისი)— სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი (თბილისი) 108:116 (47:57). მსაჯები: ს. მაღალაშვილი და ა. როსტომაშვილი (ორივე — საკავშირო კატეგორია).

**19 მაისი.** საქართველოს სუბტროპიკული მეურნეობის ინსტიტუტი (სოხუმი) — „სინათლე“ (თბილისი) 61:58 (31:28). მსაჯები: ზ. აბაშიძე (საკავშირო კატეგორია) და ზ. სუშჩენკო.

**20 მაისი.** საქართველოს სუბტროპიკული მეურნეობის ინსტიტუტი (სოხუმი) — „სინათლე“ (თბილისი) 59:57 (32:31). მსაჯები: ზ. აბაშიძე, (საკავშირო კატეგორია) და ს. სუშჩენკო.

**25 მაისი.** ტექნიკური უნივერსიტეტი (თბილისი) — უნივერსიტეტი (თბილისი) 86:106 (34:55). მსაჯები: ს. მაღალაშვილი (საკავშირო კატეგორია) და ზ. ზამთარაძე.

**გათამაშების ცხრილები**

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| **I ქვეჯგუფი** | | | | |
| ფიზკ. ინსტ. (თბილისი) | 12 | 11 | 1 | 23 |
| სას. სამ. ინს. (თბ.) | 10 | 9 | 1 | 19 |
| „მართვე“ (თბ.) | 11 | 5 | 6 | 16 |
| „სინათლე“ (თბ.) | 12 | 4 | 8 | 16 |
| საქ. სუბ .მ. ინსტ. (სოხ.) | 10 | 5 | 5 | 15 |
| ჰიათურა | 11 | 1 | 10 | 12 |
| „ტბეთი“ (ბათუმი) | 8 | 2 | 6 | 10 |
| **II ქვეჯგუფი** | | | | |
| თსუ (თბ.) | 10 | 8 | 2 | 18 |
| ტექნ. უნ. თბ. | 9 | 7 | 2 | 16 |
| „შევარდენი“ (თბ.) | 10 | 6 | 4 | 16 |
| ქუთაისი | 9 | 4 | 5 | 13 |
| „აზოტი“ (რუსთ.) | 10 | 3 | 7 | 13 |
| „დინამო“ (თბ.) | 10 | 1 | 9 | 11 |

# გათამაშების კალენდარი

**რამდენიმე გამოტოვებულ მატჩს თუ არ მივიღებთ მხედველობაში, კალათბურთელ ვაჟთა რესპუბლიკური ჩემპიონატის პირველი ნახევარი, ფაქტიურად, დამთავრდა. 2 ივნისს თბილისში გამართული ორი შეხვედრით დაიწყება ჩემპიონატის მეორე ნახევარი — III და IV წრე. გთავაზობთ შეხვედრათა კალენდარს:**

**2-3 ივნისი.** „სინათლე“ (თბილისი) — „მართვე“ (თბილისი), „შევარდენი“ (თბილისი) — „დინამო“ (თბილისი).

**6-7 ივნისი.** სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი (თბილისი) — „სინათლე“, „დინამო“ — სახელმწიფო უნივერსიტეტი (თბილისი), „ტბეთი“ (ბათუმი) — ფიზკულტურის ინსტიტუტი (თბილისი).

**9-10 ივნისი.** ფიზკულტურის ინსტიტუტი — „მართვე“, „შევარდენი“ — „აზოტი“ (რუსთავი), ჰიათურა-საქართველოს სუბტროპიკული მეურნეობის ინსტიტუტი (სოხუმი), ქუთაისი — „დინამო“.

**13-14 ივნისი.** „შევარდენი“ — ტექნიკური უნივერსიტეტი (თბილისი), სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი — ფიზკულტურის ინსტიტუტი.

**16-17 ივნისი.** „დინამო“ — ტექნიკური უნივერსიტეტი, ფიზკულტურის ინსტიტუტი — „სინათლე“, ქუთაისი — სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველოს სუბტროპიკული მეურნეობის ინსტიტუტი — სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი, ჰიათურა — „ტბეთი“.

**19-20 ივნისი.** ტექნიკური უნივერსიტეტი — „აზოტ“, ჰიათურა — სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი.

**23-24 ივნისი.** ქუთაისი — „შევარდენი“, სახელმწიფო უნივერსიტეტი — ტექნიკური უნივერსიტეტი, „მართვე“ — „ტბეთი“, საქართველოს სუბტროპიკული მეურნეობის ინსტიტუტი — ფიზკულტურის ინსტიტუტი, „სინათლე“ — ჰიათურა.

**25-26 ივნისი.** „დინამო“ — „აზოტი“, ფიზკულტურის ინსტიტუტი — ჰიათურა, სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი — „ტბეთი“ (პირველი წრის გამოტოვებული მატჩი).

**27-28 ივნისი.** სახელმწიფო უნივერსიტეტი — „შევარდენი“, ტექნიკური უნივერსიტეტი — ქუთაისი.

**28-29 ივნისი.** „მართვე“ — ჰიათურა.

**30 ივნისი — 1 ივლისი.** საქართველოს სუბტროპიკული მეურნეობის ინსტიტუტი — „ტბეთი“, „აზოტი“ — ქუთაისი, სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი — „მართვე“.

**3-4 ივლისი.** „აზოტი“ — სახელმწიფო უნივერსიტეტი, „ტბეთი“ — სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი, „სინათლე“ — საქართველოს სუბტროპიკული მეურნეობის ინსტიტუტი.

**6-7 ივლისი.** „მართვე“ — საქართველოს სუბტროპიკული მეურნეობის ინსტიტუტი, „ტბეთი“ — „სინათლე“.

## ლიდერმა წააგო? / წაიფორხილა

**მოჭადრაკე** ვაჟთა 50-ე რესპუბლიკური ჩემპიონატის IV ტურში პირველი დამარცხება იწვნია ერთპიროვნულმა ლიდერმა, ქუთაისელმა ნუკრი მანაგაძემ. იგი შავებით ამ ტურში ოსტატმა თამაზ ტაბატაძემ დაამარცხა, ეს ტაბატაძის პირველი გამარჯვებაა ჩემპიონატში.

ზედიზედ მეოთხედ დაუზავდა მეტოქეს საქართველოს სახელმწიფო ფიზიკური კულტურის ინსტიტუტის სტუდენტი გიზო ჰურღულია, ამჯერად შოთა კუპუხიძეს.

დანარჩენი პარტიები ასე დამთავრდა: ხაბურზანია — გოგიჩაიშვილი 0:1, პოპოვი — კეკელიძე 1:0, სიჰინავა—ბალათუროვი 0:1, დგებუაძე — კაკაბაძე 1:0, ხოფერია — სუპატაშვილი 0,5:0,5, შალამბერიძე — იაშვილი 0,5:0,5.

V ტურში საინტერესო გამოდგა საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის მეოთხეკურსელის, თბილისის ჩემპიონის რევაზ კაკაბაძისა და ნუკრი მანაგაძის შეხვედრა.

მეტოქეებმა სიცილიური დაცვის ერთ-ერთი აქტუალური ვარიანტი გაითამაშეს. თეთრებმა დებიუტშივე მიიღეს უპირატესობა. მიტელშპილში კაკაბაძემ პაიკი დათმო, სამაგიეროდ, გააქტიურა თავისი ფიგურები და მოწინააღმდეგის მეფის ფრთაზე გადაისროლა, შემდეგ ფიგურაც მოიგო და გაიმარჯვა.

ამ ტურის სხვა პარტიების შედეგები ასეთია:

იაშვილი — ხაბურზანია 1:0, სუპატაშვილი — დგებუაძე 0:1, ბალათუროვი — ხოფერია 1:0, ჰურღულია — სიჰინავა 0:1, ტაბატაძე — შალამბერიძე 0,5:0,5, კეკელიძე-კუპუხიძე 0,5:0,5, გოგიჩაიშვილი — პოპოვი 0,5:0,5.

ამრიგად, 5 ტურის შემდეგ ლიდერთა ჯგუფი ასე გამოიყურება: ალექსანდრე დგებუაძე (თბილისი) — 4,5, რომან სიჰინავა (სენაკი) — 3,5, გივი გოგიჩაიშვილი —3 (1), გია ბალათუროვი, იანის პოპოვი (ყველა— თბილისი), ნუკრი მანაგაძე (ქუთაისი) — 3-3.

**ვასილ ვაშაკიძე.**

# როგორც ზარბაზნიდან

**მართლაც** საოცარი ძალა და „მძვინვარე“, ფეთქებადი ენერგია უნდა ჰქონდეს კაცს, რომელიც 7,260 კილოგრამი წონის ლითონის ბირთვს ხელის ერთი გაქნევით 23 მეტრსა და 12 სანტიმეტრზე გადააგდებს. სწორედ ამდენს უდრის მსოფლიოს ამჟამინდელი რეკორდი ბირთვის კვრაში, რომელიც სულ ათიოდე დღის წინ ლოს-ანჯელესში დაამყარა ამერიკელმა რენდი ბარნსმა. მან 6 სმ-ით გააუმჯობესა სახელოვანი ულფ ტიმერმანის (გდრ) ძველი მიღწევა, რომელიც ორი წლით ადრე „დაიბადა“.



გაზეთ „ლელოს“ მკითხველებისთვის ალბათ ინტერესმოკლებული არ იქნება მსოფლიო რეკორდების ზრდის თანმიმდევრობა მძლეოსნობის ამ სახეობაში 1973 წლიდან დღემდე.

**21,82** ელ. ფოიერბახი (აშშ)—სანხოსე, 1973 წ.

**21,85** ტერი ოლბრიტონი (აშშ) — ჰონოლულუ, 1976 წ.

**22,00** ალექსანდრ ბარიშნიკოვი (სსრკ) — კოლომბუსი, 1976 წ.

**22,15** უდო ბაიერი (გდრ) —გეტებორგი, 1978 წ.

**22,22** უდო ბაიერი — ლოს-ანჯელესი, 1983 წ.

**22,62** ულფ ტიმერმანი (გდრ) — ბერლინი, 1985 წ.

**22,64** უდო ბაიერი — ბერლინი, 1983 წ.

**22,72** ალესანდრო ანდრეი (იტალია) — ვიარეჯო, 1987 წ.

**22,84** ალესანდრო ანდრეი — ვიარეჯო, 1987 წ.

**22,91** ალესანდრო ანდრეი — ვიარეჯო, 1987 წ.

**23,06** ულფ ტიმერმანი — ჩანია, 1988 წ.

**23,12** რენდი ბარნსი — ლოს-ანჯელესი, 1990 წ.

როგორც ხედავთ, ბირთვის კვრაში დიდი უპირატესობა აქვთ აშშ-ისა და გდრ-ის გუნდების წევრებს. აღსანიშნავია ისიც, რომ შესანიშნავმა იტალიელმა სპორტსმენმა ალესანდრო ანდრეიმ თავისი სამი მსოფლიო რეკორდი ერთ შეჯიბრებაზე დაამყარა.

• • •

**სურათზე: რენდი ბარნსი ასრულებს სარეკორდო ცდას.**

## ვისაც ველოსიპედი უყვარს

**ველოსიპედის** პოპულარობა ბოლო დროს ორი ძირითადი ნიშნით არის განპირობებული. იგი, ჯერ ერთი, ხელს უწყობს ადამიანის ფიზიკურ გაჯანსაღებას და რაც არანაკლებ მნიშვნელოვანია, ტრანსპორტის ეკოლოგიურად წმინდა და პერსპექტიულ საშუალებას წარმოადგენს ველოსიპედებით სეირნობამ ფართოდ მოიკიდა ფეხი მთელ მსოფლიოში.

საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკურმა ველოსკოლამ გადაწყვიტა თავისი წვლილი შეიტანოს ამ კეთილშობილურ საქმეში. კვირას, 3 ივნისს, 12 საათზე გელოვნის მოედანზე (ავტოტრანსპორტის იაპონურ გასამართავ სადგურთან) სკოლა იწვევს ველოსპორტის მოყვარულ ყველა ნორჩს, რათა მონაწილეობა მიიღონ იმპროვიზირებულ 2-კილომეტრიან შეჯიბრებაში (მსურველები შეჯიბრების ადგილზე თავიანთი ველომანქანებით უნდა გამოცხადდნენ). ასპარეზობა ჩატარდება სამ ასაკობრივ ჯგუფში (1972-1974, 1975-1976 წლებში დაბადებულთა და 1977 წელს დაბადებულებსა და უფრო პატარებს შორის). ყოველ ასაკში პირველ სამ ადგილზე გასულთ ჯილდოდ სპორტული ფორმები გადაეცემათ, აბსოლუტური გამარჯვებული კი საჩუქრად უცხოური მარკის („მუსტანგი“) ველოსიპედს მიიღებს.

## I ლიგა

30 მაისს გაიმართა I ლიგის ფეხბურთელთა საკავშირო გათამაშების მორიგი შეხვედრები: „კოტაიკი“ (აბოვიანი) — „ფაკელი“ (ვორონეჟი) 1:1, „ტავრია“ (სიმფეროპოლი) — „ნეფთჩი“ (ბაქო) — 2:2, „ტირასი“ (ტირასპოლი) — „ზენიტი“ (ლენინგრადი) — 0:2, „ლოკომოტივი“ (მოსკოვი) — „კაირატი“ (ალმა-ათა) 1:0, „კუზბასი“ (კემეროვო) — „ფახთაქორი“ (ტაშკენტი) 1:2.

## ევროპის ჩემპიონატი დაიწყო

დაიწყო 1992 წლის ევროპის საფეხბურთო ჩემპიონატის შესარჩევი მატჩები. ისლანდიის ნაკრებმა რეიკიავიკში მიიღო ალბანეთის გუნდი (I ჯგუფი) და გაიმარჯვა ანგარიშით 2:0.

## მკითხველი — გაზეთი

**ჩემთვის კალათბურთი სპორტის უსაყვარლესი სახეობაა, იგი ყველაზე მეტად მიზიდავს და ბედნიერად ვგრძნობ თავს, როცა მაღალი კლასის გუნდების თამაშის ხილვის შესაძლებლობა მეძლევა.**

**რამდენადაც ვიცი, კალათბურთი ერთ-ერთი პოპულარული სპორტის სახეობაა მთელს მსოფლიოში. იქნებ გაქვთ ახალი მონაცემები, ამბობენ, თითქოს კალათბურთის პოპულარობა ბოლო ხანებში კიდევ უფრო ამაღლდა, მით უფრო, რომ მომავალ ოლიმპიურ თამაშებში პროფესიონალებსაც მიეცათ ასპარეზობის უფლება.**

**ქ. დოუკაშვილი.**

**თბილისი.**

ახალი მონაცემებით კალათბურთს 250 ათასამდე მიმდევარი ჰყავს მთელ მსოფლიოში. ამ რიცხვში ითვლიან მხოლოდ მაღალი რანგის სპორტსმენებს. სამოყვარულო კალათბურთის საერთაშორისო ფედერაცია კი ახლა თავის რიგებში აერთიანებს 178 ქვეყანას. როგორც ამ ფედერაციის პრეზიდენტმა ბორისლავ სტანკოვიჩმა (იუგოსლავია) განაცხადა, კალათბურთმა შესაძლოა პოპულარობით და მასობრიობით უკვე პირველი ადგილიც მოიპოვა მსოფლიოში.

საგულისხმოა, რომ 250 ათასამდე სპორტსმენიდან დაახლოებით 80 ათასი ქალია.

## ინფორმაცია

**ცნობილ** ინგლისელ მოცურავეს, 25 წლის ადრიან მურჰაუზს გადაწყვეტილი ჰქონდა თავი დაენებებია სპორტისთვის, მაგრამ თანამეგობრობის ქვეყნების თამაშებზე, რომელსაც თავის სპორტულ ცხოვრებაში ბოლო შეჯიბრებად მიიჩნევდა 100 მეტრზე ბრასით ცურვაში არა მარტო პირველი ადგილი დაიკავა, არამედ საკუთარი მსოფლიო რეკორდიც გაიმეორა (1.01,49). ამ წარმატების შემდეგ სპორტსმენმა ადრინდელი გადაწყვეტილება შეცვალა.

**„სპორტპროგნოზი“, 23-ე ტირაჟის პროგრამა (8-10 ივნისი)**

| | | პროგნოზი | | |
|---|---|---|---|---|
| **სსრ კავშირის ჩემპიონატი ფეხბურთში (მეორე ლიგა) აღმოსავლეთი ზონა** | | | | |
| 1. „ოკეანი“ (ნახოდკა) — „ნოვბახორი“ (ნამანგანი) | 8.VI | 60 | 30 | 10 |
| 2. „ცელინნიკი“ (ცელინოგრადი) — „ირტიში“ (ომსკი) | 8.VI | 20 | 60 | 20 |
| **მსოფლიო ჩემპიონატი ფეხბურთში** | | | | |
| 3. არგენტინა — კამერუნი | 8.VI | 70 | 20 | 10 |
| 4. სსრ კავშირი — რუმინეთი | 9.VI | 40 | 50 | 10 |
| 5. იტალია — ავსტრია | 9.VI | 50 | 40 | 10 |
| 6. არბ. გ.ს — კოლუმბია | 9.VI | 20 | 40 | 40 |
| 7. აშშ — ჩეხოსლოვაკია | 10.VI | 10 | 60 | 30 |
| 8. ბრაზილია — შვეცია | 10.VI | 50 | 40 | 10 |
| 9. გფრ — იუგოსლავია | 10.VI | 50 | 30 | 20 |
| **ფედერაციის თასი ხელბურთში, ვაჟები (საპასუხო მატჩი)** | | | | |
| 10. სკიფ-ი (კრასნოდარი) — „პროლეტერი“ (იუგოსლავია) | 9.VI | 80 | 10 | 10 |
| **ევროპის ჩემპიონთა თასი ხელბურთში, ვაჟები (საპასუხო მატჩი)** | | | | |
| 11. „ბარსელონა“ (ესპანეთი) — ასკ (მინსკი) | 10.VI | 40 | 20 | 40 |
| **სსრ კავშირის ჩემპიონატი ფეხბურთში (პირველი ლიგა)** | | | | |
| 12. „ფახთაქორი“ (ტაშკენტი) — „გეოლოგი“ (ტიუმენი) | 10.VI | 70 | 20 | 10 |
| 13. „ლოკომოტივი“ (მოსკოვი) — „ზენიტი“ (ლენინგრადი) | 10.VI | 70 | 20 | 10 |

„ლელოს“ დღევანდელ ნომერზე მორიგეობდა გ. ჩოჩიშვილი. კორექტორები მ. ძამიძე და ლ. სარალიძე.

რედაქტორი
თ. ბაჩიჩილაძე.

ინდექსი 68435. საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა 380096, თბილისი, ლენინის ქ. 14. იბეჭდება ოფსეტური წესით ხსაზოგადო კორპუსში, ხოშარაულის ქ. 20. უე 00351